



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 24

ქ. თბილისი

22 თებერვალი 2018წ.

2018 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო  
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N57/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2018 წლის 22 თებერვლის N197739 და N196033 სამსახურებრივი ბარათების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2018 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს უცხოელი მეცნიერის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს ბიუჯეტის კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის და ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;

9. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
10. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

